



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კენკროვანი კულტურები

კენკროვანი კულტურები, ველური და კულტურული მრავალწლოვანი მცენარეების (ბუჩქები, ნახევრადბუჩქები, ბალახები) ჯგუფი, რომელთა ნაყოფი, ე. წ. კენკრა საჭმელად ვარგისია. ევროპის ქვეყნებში უმეტესად გავრცელებულია მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი, ჟოლო; შორეულ აღმოსავლეთში – შავი მოცხარი. საქართველოში უმეტესად მოჰყავთ მარწყვი, ჟოლო, მოცვი, მაცვალი, მოცხარი და ხურტკმელი.

კენკრა შეიცავს ადამიანისათვის მნიშვნელოვან ორგ. მჟავებს, შაქარს, მინერ. მარილებს, ვიტამინებსა და არომატულ ნივთიერებებს. იხმარება ნედლად, გაყინული, გამხმარი; გამოიყენება საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებაში (ამზადებენ მურაბას, ჯემს, კომპოტს, სასმელს, მარმელადს და სხვ.), ნაყოფს (მოცვი, ჟოლო, შავი ცირცელი და სხვ.) იყენებენ სამკურნალოდაც. კ. კ. ადვილად მრავლდება, ადრე იწყებს მსხმოიარობას (მარწყვი – მე-2, ჟოლო – მე-3, მოცხარი და ხურტკმელი – მე-3-მე-4 წელს) და ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს. მრავლდება ვეგეტატიურად – კალმით, გადაწივით, ბუჩქის დაყოფით, ამონაყარითა და პნკალით; თესლით გამრავლებას მიმართავენ სელექციისათვის. კ. კ-ის სამრეწველო ბალებს აშენებენ ვეგეტატიურად ნამრავლი ნერგით ისეთ ნაკვეთებზე, რებიც დაცულია ქარისაგან, სწორია ან ოდნავ დაფერდებული. მათი განვითარებისათვის უმჯობესია თბილი და ტენიანი ჰავა. კ. კ-ის პლანტაციების მოვლა ითვალისწინებს ნიადაგის დამუშავებას, მცენარეთა დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისაგან, გასხვლას, პნკალის შეცლას და სხვ.

მარწყვისთვის საუკეთესო ექსპობიციად ითვლება სამხრეთის, სამხრ.- დას. და სამხრ.-აღმ. ფერდობები. მისი დარგვა შესაძლებელია თითქმის მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, საქართველოში კი უმჯობესია ადრე გაზაფხულსა ან შემოდგომაზე (როცა

ნიადაგის ტემპ-რა 0-20 სმ სიღრმეზე 8°C-ზე მეტია). დღითიდღე იზრდება მარწყვის სამრეწველო ბალის ფართობები კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და აჭარის რეგიონებში. მათ 20 ჰა-ზე მეტი ფართობი უკავიათ, სადაც დარგულია 25-ზე მეტი პერსპექტიული და გამოცდილი ჯიში.

ჟოლოსთვის საუკეთესოა ჩრდილოეთის, ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. დაქანებები. უნდა დაირგას ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე. 2014-15 გურჯაანში, თელავში, საგარეჯოში, მარნეულში, კასპში, ახალციხეში, გორსა და ქარელში ჟოლო 25 ჰა ფართობზე იყო გაშენებული.

საქართველოში გავრცელებულია მოცვის 4 სახეობა: მთის, ლურჯი, წითელი და კავკასიური. ეს კულტურა მაქსიმალურ მოსავალს იძლევა მუშავე ნიადაგებზე. ნაკლებად მომთხოვნია (ველური ფორმა) სინათლისა და ტენის მიმართ. იტანს 20-25 °C ყინვას. ნერგის გამოყვანა-გამრავლება ხდება უჯრედის კულტურის წესით (სინჯარაში) ლაბორატორიულ პირობებში. საქართველოში ლურჯი მოცვის გაშენება 2006-იდან დაიწყო. დას. საქართველოში დიდი პოტენციალია მის მოსაყვანად. პლანტაციები გაშენდა შუახევში, ქედაში, ხულოში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ბუგდიდში, ხობში, ოზურგეთსა და ანასეულში, დარგულია 15 ჯიშის 220 ათასზე მეტი მცენარე.

საქართველოში კ. კ-ის ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი, 500-ზე მეტი ჯიში (როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი), ბუნებრივი და ეკონ. პირობების გათვალისწინებით, ზონების მიხედვით არის დარაიონებული. მთაში, ტყეში, ჭაობსა და ველზე უხვადაა ველური კენკროვნები, რ-თა ნაყოფი საკვებად ვარგისია; მათ კულტ. ფორმებთან შესაჯვარებლად იყენებენ.

ლიტ.: გოგინავა ლ., მიროტაძე ნ., ძერია კ., მიროტაძე მ., ჟოლოსა და უეკლო მაყვლის კულტურის გაშენება-მოვლა, გადამუშავება, შენახვა, თბ., 2018; მათივე, ლურჯი მოცვის კულტურის გაშენება-მოვლა, გადამუშავება, შენახვა, თბ., 2018; მალლაკელიძე ე., გოგინავა ლ., მეხილეობა, თბ., 2018.

ლ. ლასარეიშვილი

ლ. გოგინავა
